რუმინელი კინემატოგრაფისტების ოთხი ადრეული ღვაწლი თანამედროვეობისთვის

მარიან ცუცუი

საკვანძო სიტყვები: *სამეცნიერო ფილმი, ეთნოგრაფიული ფილმი, კინორეჟისორი, ბალკანეთი, გადაღებული რეპორტაჟი*

ბრამ სტოუკერის რომანში „დრაკულა“ (1897) მთავარი გმირი, ჯონათან ჰარკერი დღიურში წერს: „წავიკითხე, რომ მსოფლიოში ცნობილი ყველა ცრურწმენა კარპატების ნალშია თავმოყრილი, თითქოს ეს რაიმე შემოქმედებითი ორომტრიალის ცენტრია. და თუ ასეა, ჩემი ჩამოსვლა შეიძლება ძალიან საინტერესო აღმოჩნდეს“.[1] ხუთი წლით ადრე ჟიულ ვერნმა რომანში „ციხესიმაგრე კარპატებში“ (1892) წარმოადგინა ახსნა, თუ რა შეეძლოთ ცრურწმენების ამ აფეთქებებს გამოეწვიათ. რუმინელმა მემამულემ კინოსაპროექციო აპარატი შეიძინა, რათა ხშირად ენახა თავისი საყვარელი, გარდაცვლილი საოპერო მომღერალი. გლეხები გაოცებული იყვნენ ჯადოსნური მოძრავი ფოტოსურათებით. ჟიულ ვერნს ჰქონდა შესანიშნავი ინტუიცია - რუმინელები კინოს ჯადოქრობით აღფრთოვანდნენ და მის განვითარებაში წვლილი შეიტანეს. (სურ. 1 -2)

რუმინელმა ნევროლოგმა, ჯორჯე მარინესკუმ (1863-1938), თავის ასისტენტ კონსტანტინ პოპესკუსთან ერთად, პირველივე კინოკამერის დახმარებით (რომლითაც 1898 წელს, რუმინეთში პირველ ფილმებს იღებდნენ), გადაიღო მსოფლიოში პირველი სამეცნიერო ფილმი „სიარულის სირთულეები ორგანული ჰემიპლეგიის დროს“. მათ, ფაქტობრივად, გააანალიზეს თავიანთი პაციენტების განვლილი გზა წმინდა პანტელეიმონის საავადმყოფოში.

ოგუსტ ლუმიერმა ვერ განსაზღვრა კინოს ხელოვნების დარგად გადაქცევის პოტენციალი, თუმცა ექიმ მარინესკუს პრიორიტეტი აღიარა 1924 წლის 29 ივლისის მიწერილ წერილში: „თქვენი ნაშრომები ნერვული სნეულებების გამოკვლევის მიზნით, კინოს გამოყენებაში ნამდვილად გამომადგა, როცა ჟურნალ „ლა სემენ მედიქალის“ სტატია მივიღე. მაგრამ შემდეგ სხვა საწარმოო პრობლემები წარმოიქმნა, რომელთა გამო არ დამცალდა ჩავრთულიყავი ბიოლოგიურ კვლევებში. ვაღიარებ, რომ დამავიწყდა ეს ნაშრომები და თქვენი მადლიერი ვარ, რომ გამახსენეთ ისინი. სამწუხაროდ, მხოლოდ მცირეოდენი მეცნიერი გაჰყვა“.[2] მარინესკუს ექვსი ფილმი ძვლების დაავადებების შესასწავლად გამოიყენეს. 1899 წლის 25 ოქტომბერს ალექსანდრუ ბოლინტინეანუმ დაიცვა დისერტაცია ძვლის ტუბერკულოზზე, რომელშიც ეს ფილმებიც მიუთითა. აღნიშნული ნამუშევრები, დიდხანს რომ დაკარგული ეგონათ, 1975 წელს, წმინდა პანტელეიმონის საავადმყოფოს საკუჭნაოში აღმოაჩინეს. (სურ. 3-4)

ზიგმუნდ ვაინბერგმა (1868-1954), რუმინელმა ებრაელმა, თურქეთში, სტამბოლის საქალაქო თეატრის კომედიის განყოფილებაში, პირველი კინოთეატრი გახსნა. 1914 წელს იგი თურქეთის არმიის სამხედრო კინოსტუდიის ხელმძღვანელად დაინიშნა და ფუათ უზქინაისთან (1888-1956) ერთად, პირველი დოკუმენტური ფილმი „რუსული მონუმენტის დანგრევა სან სტეფანოში“ (1914) გადაიღო.

1 Stoker, Dracula, 2013, p. 1.

2 Tutui, A Short History, p.12-13.

1914 წელს თურქეთის თავდაცვის მინისტრმა, ენვერ ფაშამ, რომელიც მოხიბლული იყო გერმანიის არმიის კინოქრონიკებით, ვაინბერგი არმიის ცენტრალური კინემატოგრაფიული სამსახურის დირექტორად დანიშნა. ასე რომ, 1915 წელს ვაინბერგმა (ხელმძღვანელმა და მთავარმა კინოოპერატორმა), ფუათ უზქინაისა და ავსტრიელი და გერმანელი ტექნიკოსების დახმარებით, გადაიღო პირველი დოკუმენტური ფილმები, რომლებიც ეძღვნებოდა თურქეთის არმიასა და პირველი მსოფლიო ომის საფრონტო ოპერაციებს.

ამასთან, ვაინბერგმა, უზქინაისთან ერთად, 1916 წელს წამოიწყო პირველი მხატვრული ფილმის „ჰორჰორ აღას ლებლებიჯი“ გადაღება (დიკრან ჩუჯახიანისა და ტეკფორ ნალიანის, ამავე სახელწოდების კომედიის ადაპტაცია), მაგრამ დასრულება ვერ შეძლეს, ერთ-ერთი მთავარი როლის შემსრულებლის გარდაცვალების გამო.

შემდგომი პროექტი იყო თეატრალური კომედიის - „ჰიმეთ აღას ქორწილი“ გადაღება (მოლიერის, 1664 წლის კომედიის „ძალად ქორწინება“ ადგილობრივი ვერსია), მაგრამ მუშაობა კვლავ შეწყდა, რადგან მსახიობები ჯარში გაიწვიეს. არსებობს მტკიცებულება, რომ ეს ფილმი ომის შემდეგ დაასრულეს ფუათ უზქინაიმ, როგორც ოპერატორმა და დარესან რიდვან ბეიმ, როგორც რეჟისორმა და აუდიტორიას წარუდგინეს. სამწუხაროდ, ორივე ფილმი დაკარგულია. (სურ. 5-6-7).

ვლახი (არომანელი)[3] ძმები იენაჩე და მილტიადე (მილტონ) მანაკიები კინორეჟისორებისა და ბალკანეთის კულტურული მემკვიდრეობის მნიშვნელოვანი წარმომადგელები არიან. ნებისმიერი მცდელობა, დავადგინოთ მათი კავშირი ამა თუ იმ ქვეყნის ერონულ კინემატოგრაფთან, ნაყოფს ვერ მოიტანს.

მათ პირველ ბალკანელ კინემატოგრაფისტებს უწოდებდნენ. გადაღებული აქვთ რამდენიმე მნიშვნელოვანი ფილმი, სულ მცირე, ექვსი - ბალკანური ერისთვის. ამასთან, თუ მათი, მრავალი შთამბეჭდავი ფოტოს მიხედვით ვიმსჯელებთ და, უმთავრესად, ფოტოების აუცილებლობაზე, შეგვეძლება ვთქვათ, რომ ისინი რჩებიან ყველაზე თვალსაჩინო ფოტოგრაფებად ბალკანეთში.

იენაჩე ფოტოგრაფიაში, დაახლოებით, 41 წელი მუშაობდა, მილტონი - 65, რაც ნამდვილად ძნელად წარმოსადგენია. ისინი, 1907-1913 წლებში იღებდნენ ფილმებს და ფლობდნენ ღია და დახურულ კინოთეატრებს ბიტოლაში, 1921-1939 წლებში. ორივე, თავისი ფოტოებით, წარმატებით მონაწილეობდა რუმინულ მთავარ გამოფენაზე, 1906 წელს, სადაც ორი ოქროსა და ერთი ვერცხლის მედლები მიიღეს შემოქმედებისთვის და სადაც შესაძლებლობა ჰქონდათ, პირველებს ენახათ „ბიოსკოპით“ გადაღებული მოძრავი გამოსახულებები. რუმინეთის მეფე კაროლ I-ის ფინანსური დახმარებით, იენაჩემ ევროპაში, მათ შორის, პარიზსა და ლონდონში, იმოგზაურა, სადაც შეიძინა კინოკამერა “ბიოსკოპი #300”, ჩარლზ ერბენის კინოკომპანიისგან.

1907 წლის გაზაფხულზე ძმებმა პირველი კინოსურათი „ვლახების საყოფაცხოვრებო წეს-ჩვეულებები“ გადაიღეს. ნამუშევარში მათ უკვდავყვეს ბებია, 106 წლის დესპინა, რომელიც, ქალიშვილებისა და შვილიშვილების გარემოცვაში, რთავს ბამბას. მოხუცი ქალბატონი თამამად გამოიყურება კინოკამერასთან, თითქოს კინოგადაღებას შვილიშვილების ახირებად თვლის. ამას მოჰყვა სხვა ფილმები - მსხვილფეხა საქონლის გადარეკვაზე, რელიგიურ წესებზე, დაკრძალვებსა და ქორწინებებზე ვლახებში, რაც შეიძლება ჩაითვალოს მსოფლიოს ერთ-ერთ პირველ ეთნოგრაფიულ ფილმებად. ძმებმა შთამომავლობას დაუტოვეს იმდროინდელი უნიკალური კინემატოგრაფიული დოკუმენტები, როგორიცაა -შურისძიების სცენა, სადაც ნაჩვენებია ჩამოხრჩობა პირველი ბალკანური ომის დროს ან პირველი კინოქრონიკები - „სულთანი მეჰმედ მეხუთის ვიზიტი სალონიკიში“ და „სულთან მეჰმედ მეხუთის ვიზიტი ბიტოლაში“ ან „მოგზაურობა თურქეთის მაკედონიაში“, რომელიც ეძღვნებოდა საჯარო ინსტრუქციის ყოფილი მინისტრის, დოქტორ კონსტანტინ ისტრატის მეთაურობით, რუმინეთის დელეგაციის ვიზიტს, მას შემდეგ, რაც ვლახების უმცირესობამ ოტომანთა

3 ვლახები, აგრეთვე, ვალახები (და ბევრი სხვა ვარიანტი) არის შუა საუკუნეების ისტორიული ტერმინი, რომელიც აღნიშნავს ექსონიმს, ძირითადად, რუმინელებისთვის, რომლებიც ცხოვრობდნენ დუნაის ჩრდილოეთით და სამხრეთით. არომანელები ნიშნავს ვლახებს, რომლებიც ცხოვრობდნენ დუნაის სამხრეთით.

იმპერიაში უფლებები მოიპოვა.

არა მარტო მათ შემოქმედებით კარიერას, არამედ ცხოვრებასაც ღრმად დაეტყო ქარიშხლიანი ცვლილებები ბალკანეთის ნახევარკუნძულზე. პირველი მსოფლიო ომის დროს ძმების კინოსტუდია განადგურდა. ბულგარეთის საოკუპაციო ხელისუფლებამ იენაჩე პლოვდივის ციხეში ჩასვა. მიზეზი იყო - რომ სახლში სამხედრო ობიექტებისა და იარაღის რამდენიმე ფოტო აღმოუჩინეს.

იენაჩემ პლოვდივში ახალი სტუდია მოაწყო და იქ მუშაობა 1917-1918 წლებშიც გააგრძელა. 1921 წელს, მას შემდეგ, რაც ბიტოლაში რუმინული გიმნაზია დაიხურა, ძმებმა ღია კინოთეატრი გახსნეს და 1923 წელს საკუთარი კინოთეატრიც ააშენეს, გათვლილი 574 მაყურებელზე, მაგრამ სრულფასოვნად ვერ ამუშავეს, ეკონომიკური ვარდნის მიზეზით. დარბაზი იპოთეკით დატვირთეს და ბოლოს საერთოდ დაკარგეს, 1939 წლის ხანძრის შედეგად. ამის გამო, ისინი ერთმანეთს დაშორდნენ, 1939 თუ 1943 წელს. მილტონი ბიტოლაში დარჩა და სტუდიას ამუშავებდა. იენაჩე სალონიკიში წავიდა და რუმინულ კომერციულ უმაღლეს სკოლაში მასწავლებელი გახდა.

ძმებს ერთმანეთი არც მეორე მსოფლიო ომის შემდეგ უნახავთ, ისევე, როგორც არც საბერძნეთში, სამოქალაქო და „ცივი ომის“ წლებში. მილტონი კომუნისტური იუგოსლავიის მოქალაქე გახდა, ხოლო იენაჩე – საბერძნეთის მოქალაქე.

მილტონი ფოტოების გადაღებას 1963 წლამდე აგრძელებდა. სიკვდილამდე ერთი წლით ადრე მიწისძვრის ეფექტები გადაიღო! და დაგვიანებული აღიარებით სარგებლობდა. ჟილდოც მიიღო. მის ცხოვრებაზე გადაღებულია ფილმი „კამერა 300“ (1958, რეჟისორი ბრანკო რანიტოვიჩი). მისი სიკვდილის შემდეგ გამოვიდა საფოსტო მარკა. იენაჩე ტვინში სისხლჩაქცევით გარდაიცვალა, რაც მისი ერთადერთი შვილის სიკვდილმა და საკუთარი უსარგებლობის განცდამ გამოიწვია, რუმინული სკოლების დახურვისა და პენსიაზე გაშვების გამო.

დიდი ხნის განმავლობაში ძმებ მანაკიების ფილმები, ეროვნულობის გამო, იგნორირებული იყო და ავტორებს მოთმინება უწევდათ. მაგრამ დღეს მათი, როგორც ეროვნული უმცირესობის წარმომადგენლების, აღქმას უნდა მოვეპყრათ, მათივე რეალური ფასეულობისთვის, ეროვნული გადაჭარბებისა თუ შეცდომების გარეშე.

ყოველ შემთხვევაში, მათ მოღვაწეობას მთლიანობაში უნდა განვიხილავდეთ, ისევე, როგორც ხდება ლუი და ოგუსტ ლუმიერების, ვიტორიო და პაოლო ტავიანების, ლუკ და ჟან-პიერ დარდენების შემთხვევაში. არც ერთის დამსახურება არ უნდა გამოვტოვოთ, რადგან ერთი იუგოსლავიის, ხოლო მეორე – საბერძნეთის მოქალაქე გახდა.

ბოლო წლების განმავლობაში რამდენიმე კინორეჟისორმა, რომელთა შორის არიან ცნობილი თეო ანგელოპულოსი ან მილჩო მანჩევსკი, პატივი მიაგეს ძმები მანაკიების პიონერულ საქმიანობას მხატვრულ კინოში.

თეო ანგელოპულოსის „ულისეს მზერა“ (1995) წარმოსახავს ბერძენ კინორეჟისორს (მას ჰარვი კაიტელი თამაშობს), რომელიც ათენიდან ალბანეთში მიემგზავრება, ჩრდილოეთ მაკედონიაში (მასთან ერთადაა ქალი, რომლის როლსაც მაია მორგენშტერნი ასრულებს), ბულგარეთში, ბუქარესტში, კონსტანცაში, ბელგრადში და ბოლოს სარაევოში, სადაც ქალაქის ალყის დროს თავს საფრთხეში იგდებს, ძმები მანაკიების ძველი ფილმის საყურებლად. კრიტიკოსებმა კინოსურათი ძმები მანაკიების დაკარგული ფილმის ნახვის მიზეზითა და დაკარგული ხედვისა და უმანკოების საძებნად მოწყობილ მოგზაურობად აღიქვეს.

ძმებ მანაკიებზე დღეს პრეტენზიას საბერძნეთი, ჩრდილოეთ მაკედონია, თურქეთი, რუმინეთი და ალბანეთიც კი აცხადებენ. ისინი 1913 წლამდე თურქეთის მოქალაქეები იყვნენ. მოგვიანებით, იუგოსლავიის, ხოლო 1939 წლის შემდეგ, იენაჩე - საბერძნეთის. იმის მიუხედავად, რომ ძმები არასოდეს ცხოვრობდნენ რუმინეთში, თავს რუმინელებად თვლიდნენ და მათი ფილმების უმეტესობას რუმინული ტიტრები და ჩანართები აქვს.

XX საუკუნე ახლოსაა ჩვენთან არა მარტო ქრონოლოგიურად, არამედ მოძრავი გამოსახულებების საშუალებითაც, მათ შორისაა ძმებ მანაკიების დატოვებული ფილმებიც. გაიმართა ომები, შეიცვალა საზღვრები და ისტორია დაიწერა დროებითი მმართველების შესაბამისად, მაგრამ ზოგიერთმა ფოტომ და მოძრავმა გამოსახულებამ ვერცხლის ნიტრატზე

ზუსტად შემოინახეს ჩვენი ბებიებისა და ბაბუების და, ფაქტობრივად, ჩვენი წარსული. ალბათ, ათასწლეულის მასშტაბში, შეიძლება ჩაითვალოს, რომ ძმებმა მანაკიებმა შთამომავლობას შემოუნახეს XX საუკუნის სახე, ისეთივე მნიშვნელოვანი, როგორიც იყო ქრისტემდე, სტრაბონისა და ჰეროდოტეს მიერ დატოვებული... (სურ. 8)

რამდენიმე უნგრელი კინორეჟისორი ტრანსილვანიის მთავარ ქალაქ კლუჟში (კოლოჟვარი) მუშაობდა, ავსტრია-უნგრეთის იმპერიის მმართველობისას და განსაკუთრებით, პირველი მსოფლიო ომის პერიოდში.

მაიკლ ჯონ სტოილი ასე ხსნის ავსტრია-უნგრეთში კინოს განვითარებისა და იქიდან ტექნიკოსებისა და გამოცდილების თავისებურ ექსპორტს: „კოლოჟვარში (ამჟამად, კლუჟი), პრაღაში, ვენასა და აგრამში (ამჟამად, ზაგრები) კინომ დაიწყო არსებობა როგორც, უპირველეს ყოვლისა, საშუალო კლასის ხელოვნების ფორმამ. შედეგად, დუნაისპირულმა ევროპამ ასახა ბურჟუაზიის ფასეულობები და გემოვნებები. ცენზურა, რომელიც უკვე წარმოიქმნა მეფის რუსეთში, ჰაბსბურგების მმართველობის დროს არ არსებობდა...

პირველმა მსოფლიო ომმა ახალი სიცოცხლე მოუტანა აღმოსავლეთ ევროპის ქვეყნების დასუსტებულ კინოწარმოებებს. გერმანიისა და მისი მოკავშირეების ბლოკადამ დაბლოკა ახალი ამერიკული და ფრანგული ფილმები, რომლებიც აღმოსავლეთ ევროპის კინოთეატრების მთავარ პროგრამებს წარმოადგენდნენ, ავსტრია-უნგრეთის იმპერიაში შესაღწევად.

...ალექსანდერ კორდამ, 1916 წელს, საქმიანობა ბუდაპეშტიდან კოლოჟვარში გააგრძელა. შემდგომ ორ წელიწადში, ყოფილმა კინოკრიტიკოსმა, პროდუსერის რანგში, წელიწადში შვიდი მხატვრული ფილმი გადაიღო „ტრანსილვანიის კინოკომპანიისათვის“...

მწერლები, მსახიობები და ბიზნესმენები, ადამიანები, რომლებსაც ომამდე ფეხი არ დაუდგამთ კინოსტუდიაში, უეცრად ჩაერთვნენ ეროვნული კინოს საქმეებში და თითქმის ერთი ღამის განმავლობაში მცირეოდენი შემოსავლებიც მიიღეს.

ომისდროინდელი ბუმი 1919 წელს ჩაცხრა, თითქმის ისევე უეცრად, როგორც წარმოიშვა. ინტელექტუალები, როგორებიც იყვნენ ალექსანდერ კორდა – უნგრეთში და მიროსლავ ურბანი – ჩეხოსლოვაკიაში, ამაოდ ცდილობდნენ, შეეჩერებინათ თავიანთი ეროვნული კინოწარმოებების მეორე კრახი, წარმოების კვლავ გაგრძელებისა და კინემატოგრაფისტთა გაერთიანებების შექმნის საშუალებით.[4]

ალექსანდერ კორდა (იგივე, შანდორ ლასლო კელნერი) და მაიკლ კერტიზი (იგივე, მანო კამინერი), ომის შემდეგ დიდ ბრიტანეთში და იქიდან აშშ-ში წავიდნენ, სადაც ამ უკანასკნელმა 1944 წელს „ოსკარი“ მიიღო, საუკეთესო კინორეჟისურისთვის ფილმისთვის „კასაბლანკა “.

ეუგენ (იენიო) იანოვიჩმა (1872-1945) მუშაობა გააგრძელა კლუჟში (კოლოჟვარი), როდესაც 1918 წელს, ეს ტერიტორია რუმინეთის ნაწილი გახდა. 1920 წელს გადაიღო ფილმი „კოშმარი“ (რუმინეთ-უნგრეთი). ამ მორალისტურ მელოდრამატულ ამბავში, რომელშიც ნაჩვენებია, თუ როგორ ანადგურებს სიფილისი ოჯახს, რეჟისორმა მიკროსკოპული გადაღების მეთოდი გამოიყენა. ამაში დაეხმარა რუმინელი ბიოლოგი კონსტანტინ ლევადიტი (1874-1953), რომელიც ტიტრებში სცენარისტადაა მითითებული.

ეს საგანმანათლებლო ფილმი გაკეთდა რუმინეთის ჯანმრთელობის სამინისტროს დაფინანსებით. პირველი ჩვენება გაიმართა 1920 წლის 29 დეკემბერს, კლუჟის ეროვნულ თეატრში, კონფერენციის (რომელსაც ლევადიტი მართავდა) დასრულების შემდეგ. მოგვიანებით კი, კინოთეატრებში გაუშვეს. ადრე, 1909 წელს ლევადიტიმ, ფრანგ ექიმთან, ჟან ქომანდონთან ერთად, გადაიღო სამეცნიერო ფილმები, მათ შორის, “ფაგოციტოზი“.

სტატიაში წარმოგიდგინეთ რუმინელების ოთხი მაგალითი, რომლებსაც ჰქონდათ ინტუიცია, თანამედროვე პოზიციიდან მიდგომოდნენ კინოს, როგორც ჩანასახში მყოფ ხელოვნებას, რომლის შესაძლებლობების წინასწარ განჭვრეტა ძნელად წარმოსადგენი იყო. თავად რუმინელებმაც ცოტა იციან ამ პიონერებსა და მათ მიღწევებზე. არასერიოზულია ფაქტი, რომ არც ისე ბევრმა ადამიანმა იცის

4 Stoil, Cinema Beyond the Danube: The Camera and Politics, 1974, p. 40-43.

ამის შესახებ, თუმცა ნათელია, რომ რუმინული კინო არ გამოჩენილა მხოლოდ 2000 წელს „ახალი რუმინული ტალღით“. მას გაცილებით ძველი ტრადიცია აქვს.

გამოყენებული ლიტერატურა:

- Savaș ARSLAN, Cinema in Turkey: A New Critical History, Oxford University Press, 2010.
- Burçak EVREN, Sigmund Weinberg: Türkiye'ye Sinemayı Getiren Adam, Milliyet Publishing, Istanbul, 1995.
- Christos K. CHRISTODOLOU, The Manaki Brothers. The Greek Pioneers of the Balkanic Cinema, Organization for the Cultural Capital of Europe, Thessaloniki, 1997.
- Ghiorghios EXARHOS, Adelphoi Manakia, Protoporoi tou kinematografou sta Balkania, Gavrilidis, Athens, 1991
- Ștefan S. NICOLAU, R. IFTIMOVICI, Constantin Levaditti, Editura științifică, Bucharest, 1968.
- Igor STARDELOV, Manaki, Kinoteka na Makedonija, Skopje, 2003.
- Bram STOKER, Dracula, The Project Gutenberg EBook, 2013.
- Michael Jon STOIL, Cinema Beyond the Danube: The Camera and Politics, The Scarecrow Press, Inc., Metuchen, New Jersey.
- Marian ȚUȚUI, Orient Express. Romanian and Balkan Cinema, Noi Media Print, Bucharest, 2011.
- Marian ȚUȚUI, A Short History of Romanian Cinema, Noi Media Print, Bucharest, 2011.
- Erzsebet ZAKARIAS, Janovics, the Creator of the Transylvanian Hollywood, Tracus Arte, Bucharest, 2014.



1. ჯორჯე მარინესკუ. GHEORGHE MARINESCU



2. კადრი ფილმიდან „სიარულის სირთულეები ორგანული ჰემიპლეგიის დროს“, 1899.
STILL FROM *WALKING DIFFICULTIES IN ORGANIC HEMIPLEGIA* (1899)



3. ზიგმუნდ ვაინბერგი
SIGMUND WEINBERG



4. „რუსული მონუმენტის დანგრევა სანსტეფანოში“, ფოტო, 1914.
PHOTO OF *DEMOLITION OF THE RUSSIAN MONUMENT IN SAINT STEPHEN* (1914)



5. იენაჩე და მილტონ მანაკიები, 1914.
IENACHE AND MILTON MANAKIA (1914)



6. ტიტრი სათაურით „ვლახების საყოფაცხოვრებო წეს-ჩვეულებები“, ავტორების სახელებითა და სტუდიის დასახელებით რუმინულ ენაზე.
STILL WHERE ONE CAN READ THE TITLE, *HOUSEHOLD CUSTOMS WITH THE VLACHS,* THE NAME OF THE AUTHORS AND THE STUDIO IN ROMANIAN LANGUAGE



7. კადრი ფილმიდან „ვლახების საყოფაცხოვრებო წეს-ჩვეულებები“, 1907.
STILL FROM *HOUSEHOLD CUSTOMS WITH THE VLACHS* (1907)



8. კადრი ფილმიდან „კოშმარი“, 1920.
STILL FROM *THE NIGHTMARE* (1920)